SMART business

Microsoft Dynamics 365 Business Central

SMART LOCALIZATION

Release Note

v. 2025.10

Published

კონფიდენციალურობის შეტყობინება: ეს დოკუმენტი კონფიდენციალურია და შეიცავს კომერციულ საიდუმლო ინფორმაციას, ამავდროულად წარმოადგენს SMART business-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. არც ეს დოკუმენტი და არც აქ მოცემული ინფორმაცია არ შეიძლება იყოს რეპროდუცირებული ან გამჟღავნებული SMART business-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ დოკუმენტისა და აქ მოცემული ინფორმაციის გამჟღავნება, კოპირება, გავრცელება ან გამოყენება სასტიკად აკრძალულია.

Contents

1. შესავალი 3
2. SMART Core & Accounting for GE-ის განახლებები 4
3. SMART Payroll-ის განახლებები 12
4. სისტემის განახლების პროცედურა 16
5. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები 17

1. შესავალი

დოკუმენტში მოცემულია SMART Localization-ის გადაწყვეტილების ფუნქციონალის გაუმჯობესებები და ცვლილებები, რომლებიც მოცემულია 2025.10 რეგულარულ განახლებაში. განახლება მოიცავს ფუნქციონირების ცვლილებებს 07/01/25-დან 09/30/25-მდე.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ამ დოკუმენტის შინაარსი მხოლოდ საინფორმაციოა და წარმოადგენს აღნიშნულ თემაზე SMART business LLC-ის ამჟამინდელ ხედვას გამოქვეყნების თარიღისთვის. ეს დოკუმენტი და მისი შინაარსი არ წარმოადგენს, და არც უნდა იქნას განმარტებული, როგორც SMART business LLC-ის მხრიდან არსებული ვალდებულება. SMART business LLC არ იძლევა გარანტიას მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი ნებისმიერი ინფორმაციის სიზუსტეზე.

შეტყობინება საავტორო უფლების შესახებ

საავტორო უფლებებთან დაკავშირებულ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის დაცვა მომხმარებლის პასუხისმგებლობაა. ამ დოკუმენტის შინაარსი SMART business LLC-ის ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენს. შპს SMART business-ის, როგორც საავტორო უფლებების მფლობელის, უფლებების შეზღუდვის გარეშე, დაუშვებელია ამ დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის რეპროდუცირება, შენახვა ან მოძიების სისტემაში შესვლა, ან რაიმე ფორმით ან ნებისმიერი მიზნით გადაცემა (ელექტრონული, მექანიკური, ფოტოკოპირება, ჩაწერა, ან სხვაგვარად), ან რაიმე მიზნით მისი გამოყენება ნებისმიერ სხვა ნაშრომში ან პუბლიკაციაში, შპს SMART business-ის ოფიციალური წერილობითი ნებართვის გარეშე. ამ დოკუმენტის კოპირება მხოლოდ პირადი გამოყენებისთვის შეგიძლიათ.

SMART business LLC შეიძლება ჰქონდეს პატენტები, პატენტის განაცხადები, სავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლებები ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, რომლებიც მოიცავს ამ დოკუმენტის საგანს. გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის გათვალისწინებული SMART business LLC-ის რომელიმე ცალკეულ წერილობით სალიცენზიო ხელშეკრულებაში, ამ დოკუმენტის მიწოდება არ გაძლევთ რაიმე ლიცენზიას ამ პატენტებზე, სავაჭრო ნიშნებზე, საავტორო უფლებებზე ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებაზე

© 2022 SMART business. ყველა უფლება დაცულია. აქ ნახსენები კომპანიის და პროდუქტის რეალური სახელები შეიძლება იყოს მათი შესაბამისი მფლობელების სავაჭრო ნიშნები.

2. SMART Core & Accounting for GE-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#71294	დაემატა ძირითადი საშუალების გადაადგილების აქტის შექმნის შესაძლებლობა ლოკაციის კოდის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ ველი "აუცილებელი ძს-ს ლოკაციის კოდი" არ არის გააქტიურებული ძირითადი საშუალების კონფიგურაციის გვერდზე.	ძირითადი საშუალებები	ახალი ფუნქცია
CORE	#74754	სტანდარტული ფუნქციონალის ცვლილების შედეგად, დაემატა ლოკალიზებული შესაძლებლობა „დაპოსტილი შესყიდვის ინვოისის სტრიქონებიდან“ და „შესყიდვის სტრიქონებიდან“ გაიხსნას „ავანსის დოკუმენტი“.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#76582	გაუმჯობესდა ანგარიშგების გენერირების ლოგიკა „ანგარიშის კორესპონდენციის ჩანაწერების ანალიზის“ ანგარიშგებისთვის. კერძოდ: დაემატა კრედიტის ჩანაწერებისთვის დაპოსტვის თარიღის შევსების ფუნქციონალი; დაემატა ჯამების გენერირება კრედიტის მიხედვით; გამოსწორდა ჩანაწერების დუბლირების პრობლემა ანგარიშის მიხედვით.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#76810	ხელშეკრულების ჩამოსაშლელ სიას დაემატა ახალი ველები ხელშეკრულების ბარათიდან: გარე ხელშეკრულების ნომერი, დაწყების თარიღი და დასრულების თარიღი.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#79144	საავანსო გადახდის ეფლიქეიშენის და ეფლიქეიშენის გაუქმების ალგორითმი განახლდა იმ შემთხვევაში, როცა მომწოდებლის პოსტინგ ჯგუფზე ჩართულია მნიშვნელობა „მრავალი პოსტინგ ჯგუფის დაშვება“. ამიერიდან, ეფლიქეიშენის ან მისი გაუქმებისას გადასახდელი ვალდებულების ანგარიშები აღებულია მომწოდებლის პოსტინგ ჯგუფიდან, რომელიც	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია

		გამოიყენება გადახდის დაპოსტვის დროს.		
CORE	#79712	ძირითადი საშუალებების სიის გვერდზე დანერგილია ძს-ების ტიპების მიხედვით დათვალიერების შესაძლებლობა— „მომავალი ხარჯები“ და „ძირითადი საშუალებები“. შეიცვალა ამორტიზაციის დაწყების თარიღის გამოთვლის მეთოდი: ახლა რეგისტრაციის თარიღის ნაცვლად გამოიყენება ძირითადი საშუალების ალრიცხვაზე აყვანის თარიღი. ასევე გამოსწორდა შეცდომები, რომლებიც წარმოიშვებოდა შესყიდვის კორექტირების დამუშავებისას — კერძოდ, იმ შემთხვევებში, როდესაც დოკუმენტის დაპოსტვის თარიღი არ ემთხვეოდა ძირითადი საშუალების რეგისტრაციის თარიღს.	ძირითადი საშუალებები	ახალი ფუნქცია
CORE	#80663	ინვენტარიზაციის შეკვეთის დოკუმენტს და გვერდს დაემატა შემაჯამებელი განყოფილება, რომელიც სტრიქონების მიხედვით აჩვენებს ჯამურ რაოდენობას და ღირებულებას.	პროდუქციის მართვა	ახალი ფუნქცია
CORE	#81145	გაუმჯობესდა ფინანსური ანგარიშგების ბრუნვის რეპორტი: ყველა რიცხვითი მნიშვნელობა ახლა მოიცავს ჰიპერბმულს, რომელიც გადამისამართდება მთავარი ჟურნალის ჩანაწერების გვერდზე, სადაც ანგარიშგების მიხედვით წინასწარ არის დაყენებული შესაბამისი ფილტრები.	ძირითადი საშუალებები	ახალი ფუნქცია
CORE	#81473	ქვეკონტრაქტების, მოთხოვნის და დაგეგმვის სამუშაო გვერდებიდან შესყიდვის შეკვეთის შექმნისას, თუ სტრიქონში მითითებული ხელშეკრულება განსხვავდება დეფოლტ ხელშეკრულებისგან, სისტემა აღარ აჩვენებს გამაფრთხილებელ შეტყობინებას.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#82151	დაემატა ავტომატური გადახდის ამოცნობის წესების კონფიგურაციის შესაძლებლობა საბანკო ამონაწერის „გადახდის დანიშნულების“ ველში მითითებული საკვანძო სიტყვების საფუძველზე. ასევე, საბანკო ანგარიშების დეტალების კონფიგურაციის ცხრილს დაემატა დამატებითი ანალიტიკების კონფიგურაციის შესაძლებლობა	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია

		გადახდების ჟურნალში იმპორტისთვის.		
CORE	#82776	მომწოდებლის საბანკო ანგარიშისთვის დაემატა ახალი ველი — „დაბლოკილი", ასევე შესაბამისი ვალიდაცია, რომელიც არ იძლევა დაბლოკილი ანგარიშის არჩევას საშუალებას საბანკო გადახდების ჟურნალში.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#83063	ფიზიკური ინვენტარიზაციის შეკვეთის" დოკუმენტში პასუხისმგებელი პირის ავტომატური შევსების უზრუნველსაყოფად, ლოკაციის ბარათზე დაემატა ველი — „ფიზიკური ინვენტარიზაციის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი".	პროდუქციის მართვა	ახალი ფუნქცია
CORE	#83142	ეფლიქეიშენში გადახდის განაწილების ფუნქციონალი გაუმჯობესდა. დამატებულია ახალი შესაძლებლობა, რომელიც საშუალებას იძლევა გადახდების გაყოფა განხორციელდეს მათი ეფლიქეიშენის დროს ჩაწერილ ინვოისებზე, სანამ მოხდება მათი დაპოსტვა.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#83477	შეიცვალა უცხოური ვალუტის გაყიდვების ტრანზაქციების გადაფასების გაანგარიშების ლოგიკა. ამიერიდან, თუ ტრანზაქციების თარიღები იგივეა, მაგრამ გაცვლითი კურსები განსხვავებულია, გაყიდვების ტრანზაქციების განხორციელებისას , დაგენერირდება გადაფასება.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#83528	გასწორდა მარაგების წმინდა რაოდენობის ანგარიშგების ფორმირების პრობლემა, თუ არსებობს ნაშთები ვარიანტებისთვის, რომელთა საერთო რაოდენობა ნულის ტოლია. ახლა ნაჩვენებია მხოლოდ ისეთი ნულოვანი მნიშვნელობის მქონე სტრიქონები, რომლისთვისაც ვარიანტების ჭრილში მნიშვნელობა არ უდრის ნოლს.	საოპერაციო ანგარიშგებები	შეცდომის გასწორება
CORE	#84127	SMART Feature Flags-ს დაემატა ახალი პარამეტრი — „#84127 კორესპონდენციის ნულზე დარესეტება, თუ დებეტი/კრედიტი შეესაბამება დებეტის/კრედიტის სხვა ნიშანს". აღნიშნული პარამეტრი ცვლის კორესპონდენციის ჩანაწერების გენერირების ლოგიკას იმ შემთხვევებში, როდესაც აქამდე კორესპონდენცია იქმნებოდა თანაბარი	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია

		თანხების მქონე, მაგრამ დებეტის და კრედიტის მხარეს განსხვავებული ნიშნების მქონე ტრანზაქციებისთვის, რაც იწვევდა ბრუნვების ზრდას.		
CORE	#84177	მომწოდებლის ლეჯერის ჩანაწერებში დაემატა ახალი ველი — 'ვენდორის ტიპი', რომლის გამოტანა შესაძლებელია პერსონალიზაციის ფუნქციის მეშვეობით	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#84365	გამოსწორდა პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენდა დაპოსტილ ავანსის დოკუმენტში შორთქათ ანალიტიკის ჩვენებაზე.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გასწორება
CORE	#84511	კორექტირებულია 'G/L Source Turnover' ანგარიშგების სტრიქონებში კორექტირების ტრანზაქციების მონაცემების ჩვენება. ახლა, დეტალური ბალანსის მქონე მონაცემების გენერირებისას, საბოლოო ბალანსი ნაჩვენებია დებეტის ან კრედიტის მიხედვით. გარდა ამისა, ანგარიშგების გენერირებისას, სადაც კორექტირების შესახებ მონაცემები არ არის ნაჩვენები, ასეთი ტრანზაქციები გამოირიცხება ზოგადი ლეჯერის ჩანაწერების ჩვენებიდან.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#85072	ანგარიშის ბრუნვის რეპორტში განახლდა „საგადასახადო პერიოდის" ტიპის თარიღის დიაპაზონის არჩევის ლოგიკა: ახლა მომხმარებლის პარამეტრების ნაცვლად გამოიყენება მიმდინარე საგადასახადო პერიოდი.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#85118	გამოსწორდა შეცდომა იმ თვის ცვეთის თანხის ხელახალი გამოთვლისას, რომელშიც მოხდა ცვეთის დარიცხვის გაუქმება.	ძირითადი საშუალებების ფუნქციონალი	შეცდომის გასწორება
CORE	#85146	მომხმარებლისგან დაბრუნების დოკუმენტის დამუშავებისას, თვითღირებულების გაანგარიშების ლოგიკაში შეტანილია ცვლილებები, თუ მომხმარებლის ხელშეკრულებაში ან მის ბარათზე პარამეტრი „დაბრუნება გადაფასების საფუძველზე" დაყენებულია მნიშვნელობაზე- „დიახ". კრედიტ მემოს შექმნისას სისტემა ამოწმებს თავდაპირველ ინვოისში ალამს-„ფასი მოიცავს დღგ-ს": თუ მითითებულია მნიშვნელობა „დიახ", კრედიტ მემოში	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია

		სისტემა იღებს ფასს დღგ-ს ჩათვლით, გადაფასების გათვალისწინებით; თუ მითითებულია მნიშვნელობა „არა“, სისტემა იღებს ფასს დღგ-ს გარეშე, ასევე გადაფასების გათვალისწინებით.		
CORE	#85160	გაუმჯობესდა მარაგის წმინდა ღირებულების ანგარიშგების ფუნქციონალი: ანგარიშგებაში არ შედის რაოდენობის გარეშე არასამარაგე ტიპის პროდუქციის თვითღირებულება.	საოპერაციო ანგარიშგებები	ახალი ფუნქცია
CORE	#85188	ავანსის დოკუმენტში გასწორდა ჯამური თანხის გადაანგარიშების პრობლემა, სტრიქონებში ფასისა და რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გასწორება
CORE	#85698	გაუმჯობესდა დაუპოსტავი დოკუმენტების გადახდაზე გადახურვის ფუნქციონალი, კერძოდ: - შესყიდვისა და გაყიდვის დოკუმენტების გვერდებზე დაემატა ველები „გადახურული თანხა“ და „გადახურული თანხა (LCY)“, რომლებიც აჩვენებს გადახურული თანხის მთლიან ოდენობას დოკუმენტისთვის; - დაემატა მოქმედება „გადახურვს გაუქმება“, რომელიც საშუალებას იძლევა გადახურული გადახდა გაუქმდეს პირდაპირ დოკუმენტის გვერდიდან; - დაემატა ვალიდაცია, რომელიც ხელს უშლის დოკუმენტში „გადახურული თანხა“ და „დოკუმენტის ნომრის მიხედვით გადახურვა“ ველების ერთდროულ შევსებას.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#86516	ბანკის ამონაწერის შემოიმპორტების ცხრილში სისტემური ფილტრების დამატება "Journal Template Name" და "Journal Batch Name".	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გასწორება
CORE	#86698	გაუმჯობესდა ვალუტის კურსის ძიების ფუნქციონალი თარიღის მიხედვით: ადრე აუცილებელი იყო კურსის არსებობა ზუსტად მითითებულ თარიღზე, ახლა კი მომავალი თარიღებისთვის სისტემა ავტომატურად იყენებს ხელმისაწვდომ დღევანდელი კურსის მონაცემებს.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#86908	ინგლისურ ინტერფეისში, საბანკო ამონაწერის ბუფერის გვერდზე, შეცდომის კოდისა და შეცდომის	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია

		აღწერის ველებში სიტყვა „Edrpou“ ჩანაცვლდა სიტყვით „Reg. No“.		
CORE	#87469	რეგისტრაციის ნომრის ველის მაქსიმალური სიმბოლოების რაოდენობა გაიზარდა 50-მდე.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#87561	დამატებულია შეზღუდვა, რომელიც ზღუდავს დაბლოკილი საბანკო ანგარიშის დეფოლტ ანგარიშად დაყენებას მომწოდებლის ბარათზე ან მომწოდებლის ხელშეკრულებაში. თუ საბანკო ანგარიში დაბლოკილია: მომწოდებლის ბარათზე არსებული „დეფოლტ საბანკო ანგარიშის კოდი“, და მომწოდებლის ხელშეკრულების ბარათზე არსებული „დეფოლტ საბანკო ანგარიშიც კოდი“ — სადაც ეს ანგარიში ადრე იყო მითითებული, ავტომატურად იშლება.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#87624	„სავალდებულო გარე ნომრის“ ფუნქციის შემოწმების ფუნქციონალი ადაპტირებულია ახალი პლატფორმის 26.4-ის მოთხოვნებთან.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#87684	SMART News-ის კონფიგურაციის გვერდზე დაემატა ალამი „SMART News-ის გამოწერის გაუქმება“, რომელიც საშუალებას იძლევა გამორთოთ სიახლეების ავტომატური გააქტიურება ვერსიის განახლების დროს.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#87685	დაემატა SMART კონფიგურაციის ვერსიების კონტროლი: იმპორტის დამხმარე გვერდზე ნაჩვენებია მიმდინარე და საჭირო კონფიგურაციის პაკეტის ვერსიები, ხოლო შეუსაბამობის შემთხვევაში, როლების ცენტრში ნაჩვენებია შეტყობინება განახლების საჭიროების შესახებ.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#89054	სატრანზიტო ანგარიშის მეშვეობით გადავადებული გადახდის ფუნქციონალი ადაპტირებულია Microsoft -ის პლატფორმის 26.4 ვერსიაში განხორციელებულ ცვლილებებთან.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	ახალი ფუნქცია
CORE	#89117	გამოსწორდა „ნულზე გაყოფის“ შეცდომა „მომწოდებლის გადახდების შეთავაზების“ ფუნქციის გამოყენებისას და ბანკის გადახდების ჟურნალში გადახდის დანიშნულების ველის შევსებისას.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გასწორება

CORE	#89121	გამოსწორდა პრობლემა ფუნქციაში „მომწოდებელზე გადახდის შეთავაზება"- ბანკის გადახდების ჟურნალში, სადაც სისტემა „ახალი დოკ. ნომერი თითოეული სტიროქნისთვის" ფუნქციის გააქტიურებისას, თითოეულ სტრიქონზე ახალი დოკუმენტის ნომერს არ ანიჭებდა.	ლოკალიზაციის ძირითადი ფუნქციონალი	შეცდომის გასწორება
GE	#77343	გაცემულ ფაქტურაში დაემატა ფუნქციონალი აქციზის თანხის გამოთვლისთვის, ფორმულით: "აქციზის განაკვეთი" × "რაოდენობა". ასევე, დაემატა ველები: აქციზის ID და აქციზის განაკვეთი, რომლებიც ივსება ავტომატურად, პროდუქტის ბარათში მითითებული აქციზის ID-ის საფუძველზე, ფაქტურის შექმნისას. აქციზის ID და აქციზის თანხა იგზავნება შემოსავლების სამსახურის პორტალზე (RS.ge), ფაქტურის გაგზავნის ან შენახვის პროცესში.	დღგ	ახალი ფუნქცია
GE	#85768	გასწორდა სავალდებულო ანალიტიკის ვალიდაცია ბუღალტერულ ანგარიშზე გაცემული ფაქტურის დაპოსტვის დროს. სისტემა ახლა ამოწმებს სავალდებულო ანალიტიკის შევსებას დღგ-ს გადახურვის ანგარიშზე გაცემული ფაქტურის დაპოსტვისას, რაც თავიდან აგვარიდებს გაუქმების პროცესში წარმოქმნილ შეცდომას.	დღგ	შეცდომის გასწორება
GE	#86578	დაბრუნების ზედნადებში გამოსწორდა ფასი (ეროვნულ ვალუტაში) და თანხა (ეროვნულ ვალუტაში) ველების შევსების პრობლემა, როდესაც ზედნადები იქმნებოდა დაბრუნების შეკვეთიდან მანუალურად, „ზედნადების შექმნა" ღილაკის გამოყენებით.	დღგ	შეცდომის გასწორება
GE	#87741	გამოსწორდა პრობლემა, როდესაც "შემოსავლების სამსახურის ინტეგრაციის კონფიგურაციაში" ველი "მომსახურების საზომი ერთეული" იყო ცარიელი, რის გამოც გაცემული ფაქტურის სტრიქონებში რაოდენობა Rs.ge-ზე შენახვისა და გაგზავნის დროს ყოველთვის იღებდა მნიშვნელობას 1, მიუხედავად იმისა, რომ პორტალზე იგზავნებოდა სწორი რაოდენობა.	დღგ	შეცდომის გასწორება
GE	#88633	საიდენტიფიკაციო ნომრის ვალიდაციისას მომწოდებლის/მყიდველის ბარათზე	დღგ	შეცდომის გასწორება

		თუ rs.ge-დან რაიმე მონაცემი ვერ მოიძებნა, ამის შესახებ სისტემა მომხმარებელს აცნობებს მესიჯით.		

3. SMART Payroll-ის განახლებები

განახლება მოიცავს შემდეგ გაუმჯობესებებს, ახალ ფუნქციურ შესაძლებლობებს და გასწორებულ შეცდომებს:

ქვეყნის კოდი	ID	კონტენტი	ფუნქციონალური სივრცე	ცვლილების ტიპი
CORE	#88361	მივლინების ბრძანებაში გაფართოვდა ველი „მოგზაურობის მიზეზი“, რაც საშუალებას აძლევს მომხმარებელს შეიყვანოს 100 სიმბოლოზე მეტი სიგრძის ტექსტი.	რეპორტინგი. საბეჭდი ფორმები	ახალი ფუნქცია
CORE	#89400	თანამშრომლების ჟურნალის შაბლონებისთვის დაემატა პარამეტრი „ბეჩის სახელის გაზრდა“, რომელიც განსაზღვრავს, უნდა გაიზარდოს თუ არა ამ ჟურნალის სექციის კოდი ავტომატურად „+1“-ით ჩანაწერების შექმნისას. მაგალითად, თუ პარამეტრი ჩართულია, და ბოლო ჩანაწერი არის BATCH001, ახალი ჩანაწერის შექმნისას კოდი ავტომატურად შეიცვლება BATCH002-ით. ასევე, გამოსწორდა N70950647 საბეჭდი ფორმის ბეჭდვის დაწყებისას, თანამშრომლის ჟურნალის სტრიქონებში არჩეულ ნუმერაციის, ბოლო გამოყენებული ნომრის არასწორი განახლება.	ხელფასის დაანგარიშება	ახალი ფუნქცია
CORE	#85851	ხელფასის ელემენტის პარამეტრებს დაემატა შემდეგი ველები: „საშუალო პერიოდი -დან“ და „საშუალო პერიოდი -მდე“, მათი შევსება საშუალებას გაძლევთ საშუალო ხელფასის გაანგარიშების მონაცემთა ბაზაში ჩართოთ მითითებული საშუალო პერიოდის ფარგლებში არსებული ხელფასის ელემენტები.	ხელფასის დაანგარიშება	ახალი ფუნქცია
CORE	#88003	„პოზიციებში“, ველისთვის „შეფასება“ დაემატა სამ ციფრამდე დამრგვალებული მნიშვნელობების მითითების შესაძლებლობა.	ხელფასის დაანგარიშება	ახალი ფუნქცია
CORE	#88031	შეიცვალა დარიცხვის სტრიქონების დაპოსტვის ლოგიკა HR და გაცდენის ბრძანებებში. ახლა სისტემა ხელფასის	ხელფასის დაანგარიშება	ახალი ფუნქცია

		ჩანაწერებს ქმნის ბრძანების პერიოდის კოდის საფუძველზე, იმის მაგივრად რომ გამოყენოს პერიოდის კოდი დარიცხვის დაწყების თარიღიდან.		
CORE	#82837	დანერგილია იერარქიულად დალაგებული „ფუნქციური გუნდების" შექმნის შესაძლებლობა. თანამშრომლები ემატებიან გუნდს და ენიჭებათ შესაბამისი როლები „ფუნქციური როლების" ცნობარიდან. ეს საშუალებას გაძლევთ შექმნათ და გამოიყენოთ კომპანიის ფუნქციური სტრუქტურა, რომელიც განსხვავდება საშტატო სიაში გამოყენებული დეპარტამენტების სტრუქტურისგან.	პერსონალის სია	ახალი ფუნქცია
CORE	#87728	შეიქმნა ახალი ხელფასის ფუნქცია 290, რომელიც საშუალებას იძლევა, ხელფასის დოკუმენტის შექმნისას მომხმარებლისთვის ფექტ-ბოქსში გამოჩნდეს კონკრეტული ტექსტი. ამის გასააქტიურებლად, ხელფასის ელემენტის გაანგარიშების სტრიქონები უნდა შეიცავდეს ამ ფუნქციის გაშვების პირობას (სტანდარტული ლოგიკური ფუნქციების გამოყენებით) და ტექსტს, რომელიც მომხმარებლისთვის უნდა გამოჩნდეს ხელფასის დოკუმენტის შექმნისას.	პერსონალის სია	ახალი ფუნქცია
CORE	#88815	ფიზიკური პირის ბარათზე დაემატა ახალი ველი — „ოჯახური სტატუსი", რომელიც წარმოადგენს ჩამონათვალის (ვარიანტის) ტიპის ველს წინასწარ განსაზღვრული მნიშვნელობებით. დამატებით, შეიქმნა განახლება, რომელიც ახალ ველში მნიშვნელობას განსაზღვრავს კოდის ტიპის მქონე ანალოგიური ველის მნიშვნელობის საფუძველზე.	პერსონალის სია	ახალი ფუნქცია
CORE	#86815	ფიზიკური პირის საკონტაქტო ინფორმაცია გადატანილია კომუნიკაციის ჩანართში, მათ შორის სამსახურის ტელეფონის ნომერი და სამსახურის ელ. ფოსტა.	პერსონალის სია	ახალი ფუნქცია

		თანამშრომლის ბარათის შექმნისას, ფიზიკური პირის ბარათიდან ველის მნიშვნელობები ავტომატურად გადადის.		
CORE	#87680	პოზიციის კოპირების გვერდზე დაემატა ველი: "ახალი დაწყების თარიღი". თუ ველს აქვს ახალი მნიშვნელობა, ის გადაყვება დაკოპირებულ პოზიციას, თუ ველი არის ცარიელი, მაშინ დაწყების თარიღი გადავა ორიგინალი პოზიციიდან.	პერსონალის სია	ახალი ფუნქცია
CORE	#87689	ორგანიზაციის ერთეულის (დეპარტამენტის) დასახელების ველში დაშვებული სიმბოლოების მაქსიმალური რაოდენობა გაიზარდა 100 სიმბოლომდე.	პერსონალის სია	ახალი ფუნქცია
CORE	#88356	გამოსწორდა პრობლემა, რის გამოც კონტროლი "სხვა HR ბრძანებებში" არ მუშაობდა, როცა ძალაში შესვლის თარიღი დასრულების თარიღზე ერთი დღით ადრე იყო. ასევე, დანერგილია დაწყების თარიღის კონტროლი ფიზიკური პირის სამუშაო ისტორიის ცხრილში.	პერსონალის სია	შეცდომის გასწორება
CORE	#88612	გამოსწორდა დოკუმენტის ნომრის შევსებასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც წარმოიშობოდა თაიმშიტების დეტალებში ზეგანაკვეთური საათების დამატებისას (თუ სამუშაო საათების დამატება ხდებოდა დოკუმენტის მეშვეობით).	დროის უწყისი	შეცდომის გასწორება
CORE	#88486	დაემატა შეზღუდვა თაიმშიტის დეტალებში სტრიქონების ხელით რედაქტირებაზე, თუ თაიმშიტის სტატუსი = დარელიზებულს, მაშინაც კი, თუ დროის აქტივობის კოდი იძლევა ცვლილების დაშვების უფლებას. ასევე, დაემატა შემოწმება არყოფნის ბრძანებების გაუქმებისას, თუ თაიმშიტის სტატუსი = დარელიზებულს, მაგრამ ხელფასის დოკუმენტი ჯერ არ არის შექმნილი, ამ შემთხვევაში გენერირდება	დროის უწყისი	ახალი ფუნქცია

		შეტყობინება ბრძანების გაუქმებამდე თაიმშიტის გახსნის აუცილებლობის შესახებ.		
CORE	#84631	შეიქმნა „სამუშაო პირობების შემოწმების“ ფუნქცია, რომელიც საშუალებას გაძლევთ, თვალყური ადევნოთ შრომის კოდექსის დაცვას და შეუსაბამობის შემთხვევაში სისტემა დაბლოკავს ან გაგაფრთხილებთ დარღვევების შესახებ ბრძანებების შექმნისას და ისეთი ოპერაციების შესრულებისას, როგორიცაა დაქირავება, გადაყვანა და გათავისუფლება.	გაცდენების ორდერები	ახალი ფუნქცია
CORE	#84467	განახლდა ზოგადი ბრძანების ჰედერის ინფორმაცია — დამატებულია HR ბრძანების ნომრისა და თარიღის ველები, ასევე ლოგიკური ველი, რომელიც განსაზღვრავს, გადაყვება თუ არა აღნიშნული ველების მნიშვნელობები შესაბამის დოკუმენტებში ზოგადი ბრძანების დაპოსტვის შემდეგ.	გაცდენების ორდერები	ახალი ფუნქცია
CORE	#86796	თუ შვებულების ბრძანება შეიქმნა იმაზე მეტი დღეების რაოდენობით, ვიდრე არსებული ბალანსია, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მომავალი პერიოდებისთვის შვებულების ჟურნალის მეშვეობით დარიცხული დღეები, რომლებიც მიღებულია დარიცხვის ტრანზაქციებიდან.	გაცდენების ორდერები	შეცდომის გასწორება
CORE	#86594	გამოსწორდა ფიზიკური პირებისა და მომწოდებლების ნუმერაციასთან დაკავშირებული ხარვეზი — ნუმერაცია ენიჭებოდა არა ადამიანური რესურსების კონფიგურაციის გვერდზე განსაზღვრული სერიიდან, არამედ შესყიდვებისა და გადასახდელების კონფიგურაციის გვერდზე ზოგადი მომწოდებლებისთვის განსაზღვრული სერიიდან.	ტექნიკური	შეცდომის გასწორება

4. სისტემის განახლების პროცედურა

სისტემის განახლება ორი ეტაპისგან შედგება:

- კოდის განახლება
- მონაცემთა განახლება

კოდის განახლება ეხება ობიექტების ცვლილებების მიგრაციას გამოშვებიდან მომხმარებელთა ბაზამდე, რომელიც შესრულებულია ორი ვერსიის ტექსტური შერწყმის გზით.

მონაცემთა განახლება გულისხმობს არსებული მონაცემების შეცვლას იმ შემთხვევაში, როდესაც ახალი გამოშვება ცვლის მონაცემთა სქემას, ან ახალი პარამეტრების შემთხვევაში. არსებული მონაცემები ავტომატურად იცვლება კოდის განახლების დროს მონაცემთა განახლების პროცედურის დაწყების მომენტში. ახალი მოდულების დაყენება ხორციელდება ხელით.

5. SMART Localization-ის განახლების წესები და პირობები

1. SMART business (შემდგომში „კომპანია“) შეიმუშავებს და განაახლებს SMART Localization-ის გადაწყვეტილებას (შემდგომში „გადაწყვეტილება“) Microsoft Dynamics Partner Localization and Translation Licensing Program (PLLP) განსაზღვრული მოთხოვნებისა და შეზღუდვების შესაბამისად (PLLP).
2. ყოველი კვარტლის პირველ სამუშაო დღეს კომპანია აქვეყნებს გადაწყვეტილების განახლებებს. შემდგომში კომპანია იტოვებს უფლებას შეცვალოს განახლებების გამოშვების სიხშირე.
3. გადაწყვეტილების განახლებები უფასოდ მიეწოდება კომპანიის კლიენტებს, რომლებსაც გააქტიურებული აქვთ გამოწერა ყველა Microsoft Dynamics NAV და Microsoft Dynamics 365 Business Central პროდუქტის ვერსიებისთვის, რომლებიც Microsoft-ის ძირითადი მხარდაჭერის პერიოდის ეტაპზეა. პროგრამული პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის სანახავად, გადადით ბმულზე https://support.microsoft.com/en-us/lifecycle/search.
4. მომხმარებელთა სისტემა განახლებულია გრაფიკის წინასწარი კოორდინირებით, ასევე მომხმარებლის სისტემებზე განახლებების მიგრაციის სამუშაოების მოცულობით, მათ შორის პარამეტრების განახლებასა და სისტემის ტესტირებაზე და უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს შემდეგი განახლების გამოშვებისა. განახლების გამოშვების სავარაუდო გრაფიკი არის 3 თვეში ერთხელ. განახლება შეიძლება გადაიდოს 3 თვით წინასწარ ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში.
5. ასევე გათვალისწინებულია მომხმარებლის მიერ სისტემის დამოუკიდებლად განახლების შესაძლებლობა. ამ მიზნით, კომპანიამ უნდა უზრუნველყოს განახლებები, მათ შორის რეკომენდაციები პარამეტრებისა და სკრიპტების განახლების შესახებ მონაცემების განახლებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სისტემის მომხმარებლის მოდიფიკაციები შეიძლება შეუთავსებელი იყოს მიღებული განახლების საწყის კოდთან და, შედეგად, სისტემის განახლება ან შესრულებული ცვლილებები უნდა დარეგულირდეს.
6. კომპანიამ უსასყიდლოდ უნდა გამოასწოროს აქტიური გამომწერების და რეგულარულ განახლებებში c.4.-ის შესაბამისად ჩართული მომხმარებლების გადაწყვეტილების შეცდომები
7. კომპანიამ უნდა წარმოადგინოს ყოველი განახლების ცვლილებების დეტალური აღწერა და გამოაქვეყნოს იგი არაუგვიანეს განახლების გამოშვების თარიღისა.
8. კანონმდებლობის დაუგეგმავი განახლებები ან შეცდომის დაუგეგმავი გასწორება მომხმარებელს მიეწოდება განახლებების გამოშვების სიხშირის მიუხედავად.
9. გადაწყვეტილების სრული განახლება ან მისი ცალკეული ფუნქციური შესაძლებლობების განახლება სისტემის იმგვარი „მოძველებული“ ვერსიისათვის, რომელიც არ შედის Microsoft-ის მხარდაჭერის საბაზო პერიოდში პ.პ.3-ის შესაბამისად, ანდა აქტიური ხელმოწერის არმქონე კლიენტებისთვის, კომპანიის მიერ ხორციელდება იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი განახლება იქმნება

სპეციალურად ამგვარი კლიენტისთვის და, შესაბამისად, შეიძლება კლიენტს გადაეცეს სათანადო ანაზღაურების საფუძველზე.

10. წინამდებარე პირობებიდან ნებისმიერი გადახვევა დოკუმენტირებული უნდა იყოს ხელშეკრულების ფორმით; წინაალმდეგ შემთხვევაში, მოქმედებს ეს წესები და პირობები.